# ხაშურის მოამბე

№43 (74) 8 ნოემბერი, სამშაბათი, 2016 წელი


## ჩვენი ქალაქის ცენტრალურმა მოედანმა სახე იცვალა

ჩვენი ქალაქის ცენტრალური მოედნის პირველი რეკონსტრუქცია გასული საუკუნის 60-იან წლებში განხორციელდა, როდესაც უსახური "ხუხულა" სახლებისა და "მაღაზია-დუქნების" ადგილას მოედანი გაკეთდა. შემდეგი სახეცვლილება მოედანმა 80-იან წლებში განიცადა და ძველ თაობას ყველას კარგად ახსოვს ლენინის ძეგლით "დამშვენებული" ეს ადგილი. შემდგომ წლებში, სახეშეცვლილი სასტუმრო "ივერიის" და მიმდებარე სკვერის გაფართოებამ, ერთგვარად, არქიტექტურული კონტექსტიდან "ამოაგდო" მოედანი და იგი აშკარა რეკონსტრუქციას მოითხოვდა. დღევანდელი სახით მოედანი აშკარად ჩაჯდა საერთო არქიტექტორულ ანსამბლში და რაც მთავარია, გათვალისწინებული იქნა ევროპული გამოცდილება და მოედნის გამტარუნარიანობა ეფექტურად მოწესრიგდა. პარკინგისათვის გამოყოფილმა ადგილებმა კი საკმაოდ მწვავე პრობლემაც გადაჭრა.

## ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის სუპერპროექტი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში, ჩუმათელეთი-ხევის დეტალური პროექტის მომზადებას იწყებს.

ამ ეტაპზე, E60 ჩქაროსნული მაგისტრალის, ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მშენებლობის დეტალური პროექტის მოსამზადებლად წარმოდგენილი ფინანსური წინადადებები გაიხსნა. აღნიშნული 12-კილომეტრიანი მონაკვეთი ჩუმათელეთი-არგვეთას (რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთი) გზის შემადგენელი ნაწილია და ერთ-ერთი ურთულესი საგზაო მონაკვეთია.

ფინანსური წინადადებები გაიხსნა ასევე, ზემო ოსიური-ჩუმათელეთის (რიკოთის გვირაბის აღმოსავლეთ პორტალი) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისთვის. აღნიშნული 14-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც რიკოთის საუღელტეხილო გვირაბამდე მიდის, აგარა-ზემო ოსიაურის გზის გაგრძელებას წარმოადგენს. ახალი გზა ჩრდილოეთიდან გვერდს აუვლის ხაშურს, სურამს, ჩუმათელეთს და რიკოთის გვირაბთან მივა.

# საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი - ხალხის სამსახურში

ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, რედაქცია ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს ესტუმრა. ცენტრის აქტიური მუშაობა უკვე მრავალ წელს ითვლის და მათი მიზანი ხაშურის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება, დაავადებათა პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მუდმივი მზადყოფნა და დროული რეაგირებაა. ვესაუბრეთ ა(ა)იპ-ის დირექტორს დავით ჩიქოვანს, რომელმაც ცენტრის მისიაზე, ფუნქციებზე, შესრულებულ და შესასრულებელ აქტივობებზე სათანადო ინფორმაცია მოგვაწოდა.

**დავით ჩიქოვანი:** ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, როგორც შპს, 2007 წელს ჩამოყალიბდა, ხოლო 2010 წლიდან კი ა(ა)იპ-ი ვართ. თვითმმართველობის კანონში არსებობს ვალდებულება, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები უნდა ფუნქციონირებდნენ ყველა მუნიციპალიტეტში. ჩვენ, უშუალოდ, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში ვართ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვფინანსდებით, თუმცა, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდანაც ვკონტროლდებით. ცენტრის მიზანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა, გადამდები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე არაგადამდები დაავადებების რისკების გამოვლენა, საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირება, დაავადებათა კონტროლი და პრევენცია.

**- ბატონო დავით, ძირითადად რა ფუნქციები იტვირთა ამ ცენტრმა?**

– ნამდვილად მრავალფუნქციური ცენტრია, ესენია: რაიონის მასშტაბით ეპიდემიოლოგიური საფრთხის კონტროლი, ინფექციური დაავადებების საფუძვლიანად კვლევა, დაავადებათა კონტროლის სამსახურთან ერთად, მათი აღმოფხვრა, რაიონის მასშტაბით იმუნო-პროფილაქტიკისა და იმუნიზაციის აცრების ჩატარება-დაგეგმვა, ვაქცინის შემოტანა და სპეციალურ მაცივრებში დასაწყობება, შემდგომში, როგორც ძირითად, ასევე სოფლის ამბულატორიებში დარიგება. არსებობს „ცივი ჯაჭვის" პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ ვაქცინა არ დაზიანდეს, უზუნველყოფილი იყოს შესაბამისი ტემპერატურული მაჩვენებლებით, ჩვენც ვცდილობთ, არავითარ შემთხვევაში არ დავარღვიოთ ეს პრინციპი. მთლიანად ამ ქსელის გამართულად მუშაობა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრამა აიღო თავის თავზე, ამ სპეციალური მაცივრებითაც მათ მოგვამარაგეს, მომდევნო წელს კი, სოფლის ამბულატორიებსაც უზრუნველყოფენ. ასევე, ლაბორატორიული საქმიანობა: გადამდებ დაავადებათა კერის პირველადი ეპიდკვლევის ფარგლებში, ლაბორატორიული სკრინინგი, მაღალი რისკის კონტინგენტის სკრინინგი, პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების კვლევა და სხვა კვლევები კომპეტენციის ფარგლებში. სანიტარული კონტროლის ფუნქცია, რომელიც გვევალება მხოლოდ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებში, ძირითადად, ბაღებში, სკოლებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ამ პერიოდში ვაკეთებთ ბაღების კონტროლს, რომელშიც უშუალოდ გვეხმარება სურსათის უვნებლობის სააგენტოც. ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ცხოვრების ჯანსაღი წესის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა.

**- როგორც ვიცით, ბაღებსა და სკოლებში ბავშვებს პროფილაქტიკის მიზნით გამოკვლევებს უტარებთ...**

– დიახ, ამჟამად, ბაღის ბავშვებს ვიკვლევთ ჰელმითებზე, ე.წ ჭიებზე. წელს უკვე ერთ-ერთმა მსხვილმა საერთაშორისო კომპანიამ შეისყიდა მედიკამენტი, რომელიც უსასყიდლოდ მიეცემათ დაინვაზირებულ ბავშვებს. რაც შეეხება სკოლის მოსწავლეებს, რეკომენდაცია მოგვივიდა, რომ მხოლოდ პირველიდან მეოთხე კლასამდე დაურიგდებათ მოსწავლეებს ეს მედიკამენტი პროფილაქტიკის მიზნით. დაავადებათა კონტროლის სამსახურს უკვე ჰქონდა კონტაქტი განათლების სამინისტროსთანაც და ხაშურის რესურსცენტრთანაც, შესაბამისად, პროფილაქტიკისათვის ჩავუტარებთ ბავშვებს გამოკვლევებს, რა თქმა უნდა, მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ.

**- მნიშვნელოვანი წინსვლები გაქვთ ასევე C ჰეპატიტთან ბრძოლის საქმეში.**

– მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების ქვეყნად ითვლება. ჯანდაცვის სამინისტრომ 2015 წლის აპრილში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელება დაიწყო. პროგრამის მიზანი ქვეყანაში C ჰეპატიტის ვირუსით გამოწვეული ავადობის და სიკვდილიანობის შემცირება, ასევე, ახალი შემთხვევების აღმოცენების პრევენცია იყო. ამ პროგრამაში ჩართულია საქართველოს ყველა რეგიონი, მათ შორის ხაშურიც, რამდენიმე თვეა ტარდება უფასო, სკრინინგ-კვლევები. 1000-მდე ადამიანი იყო გამოკვლეული რაიონის მასშტაბით, გავედით სოფლებშიც, სადაც საკმაოდ დიდი აქტივობა იყო. გამოკვლევა ორ ეტაპად იყოფა, ტესტური გამოკვლევა, რომელიც თავის მხრივ საბოლოო არაა, თუ ვთქვათ პირველადმა ტესტმა დადებითი პასუხი მოგვცა, შემდგომში მონაცემებს ვგზავნით დამატებით გორში „ლუგარის" ლაბორატორის ფილიალში ან თბილისში და ზუსტ პასუხებს ვიგებთ, მაგრამ აქვე დავამატებ რომ ჩვენ ოთხ დაავადებაზე ვატარებთ გამოკვლევებს: C ჰეპატიტზე, ჰეპატიტზე, შიდსზე და ათაშანგზე (სიფილისზე), ამ დაავადებებიდან მხოლოდ ათაშანგზე იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც თავდაპირველად დადასტურდა დაავადება და საბოლოო გამოკვლევებით კი - არა, სხვა შემთხვევებში, უმეტესად, პირველადი ტესტი არ ცდება. დაავდებული მოქალაქეები შესაბამისად, პროგრამაში მოხვდნენ და მკურნალობის პროცესს გადიან, ზოგიც უკვე ამთავრებს. ამ დაავადებებზე გამოკვლევა, რა თქმა უნდა, უფასოა ყველა მსურველისათვის. აქვე უნდა დავამატო, რომ C ჰეპატიტის პრევენციისთვის აუცილებელია სამედიცინო დაწესებულებში, სტომატოლოგიურ კლინიკებში, სილამაზის სალონებში სტერილიზაციის ნორმების სრული დაცვა. ეს ის ადგილებია, სადაც C ჰეპატიტის ვირუსით დაინფიცირების (გადადების) მაღალი რისკია. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ზემოთ აღნიშნული დაწესებულებების შემოწმება განხორციელდება. ამჟამად, ველოდებით დადგენილებას, რის შემდეგაც პირველ ეტაპზე შევამოწმებთ ხაშურის მუნიციპალიტეტში ყველა სილამაზის სალონს. ისინი წინასწარ გაფრთხილებულები არიან.

**- საინფორმაციო შეხვედრებს თუ მართავთ მოსახლეობასთან?**

– დიახ, რა თქმა უნდა! სკოლებში, უფროსკლასელებთან თვეში ერთხელ ვმართავთ საჯარო ლექციებს შემდეგ თემებზე: თამბაქო, ნარკოტიკი, სექსუალური გზით გადამდები დაავადებები, ტუბერკულიოზი და ა.შ. ვცდილობთ, ამგვარ საკითხებთან მიმართებაში მათი ცოდნა ავამაღლოთ, რათა იყვნენ ფრთხილად. ჯერ-ჯერობით შემოვიფარგლებით ხაშურის და სურამის სკოლებით, სადაც კონტიგენტი, შედარებით მეტია და შემდგომში სოფლის სკოლებშიც გადავინაცვლებთ. წლის ბოლოს მოსწავლეებთან ვგეგმავთ სახალისო პროექტებსაც, ერთ-ერთი ასეთია - „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია" აქ ბავშვებს დავავალებთ ორიგინალური გზით წარმოაჩინონ თუ რა დარჩათ იმ ლექციებიდან, რომლებიც ჩვენ ჩავიტარეთ სხვადასხვა თემებზე, საუკეთესო ნამუშევრების ავტორებს საახალწლოდ ფასიანი საჩუქრებით ვაჯილდოებთ.

**- მოგვიყევით ამჟამად ცენტრში მიმდინარე აქტივობებზე?**

– შემოდგომის სეზონზე, გარკვეული კატეგორიის მოსახლეობისათვის, მიმდინარეობს გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. ესენი არიან მედიცინის მუშაკები, დიალეზზე მყოფი პაციენტები და ბავშვთა სახლების პატარა ბენეფიციარები. სამწუხაროდ, ეს შეღავათები მხოლოდ ამ ჯგუფებს ეხებათ, რიგითი მოსახლეობისათვის ფასიანია.

ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს შეუფერხებელ და წარმატებულ მუშაობას ვუსურვებთ.

თ. ახალკაცი

- ქართულ-ებრაული ურთიერთობები -

# ეს იყო დღე, რომელიც მთელი ცხოვრება გემახსოვრება

2005 წლის ნოემბერი იყო. თბილისი ქართული კულტურის საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობდა. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა დარეჯან კუხიანიძემ ღონისძიების ორგანიზებაში დახმარება მთხოვა. ქართული ფოლკლორული ანსამბლები რამდენიმე ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ. ფესტივალი 10 დღის განმავლობაში გრძელდებოდა და მე რომელიმე ჯგუფისათვის კოორდინირება უნდა გამეწია. მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, სიამოვნებით დავთანხმდი კარგ ეროვნულ საქმეს. სტუმრების სიას ჩავხედე და თვალში მომხვდა ერთი ჯგუფი, ისრაელის ქალაქ რამლეს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, სიმონ ჯანაშვილის ხელმძღვანელობით. ქალბატონ დარეჯანს ვთხოვე, მე ებრაელების დელეგაციას გავუწევ მეგზურობას-თქო.

ისრაელიდან 30 კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა, აქედან 25 მოცეკვავე გახლდათ. სულ ნარჩევი გოგო-ბიჭები იყვნენ – ლამაზები, ღიმილიანები და მორიდებულები. ყველაზე პატარა 4-5 წლისა იქნებოდა, უფროსები – ყველაზე მეტი 16 წლისანი. თან რამდენიმე მშობელიც წამოჰყოლოდათ. ანსამბლის ხელმძღვანელი, ბატონი

სიმონ ჯანაშვილი არაჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა. ბავშვებს საოცარი რიდი ჰქონდათ მისი და თან დიდი სიყვარული.

ფესტივალი დიდი წარმატებით წარიმართა, დღეში ზოგჯერ ორი კონცერტიც ტარდებოდა. ღონისძიებები კარგად იყო ორგანიზებული და დროდადრო ექსკურსიებიც გვქონდა დაგეგმილი იმისთვის, რომ ფესტივალი ჩამოსულთათვისაც საინტერესო ყოფილიყო და ადგილობრივებისთვისაც. ერთ დღესაც ბატონი სიმონი თხოვნით მოვიდა, თავისი ჩვეული მორიდებით – ხვალ, მთელი დღის განმავლობაში ბავშვებს თბილისი უნდა დავათვარიელებინო, მე ამ ქალაქში გავატარე მთელი ახალგაზრდობა, ყველა კუთხე-კუნჭული ვიცი, ამიტომ თავად წავიყვან მათ ქალაქის გასაცნობად. ჯგუფში ბავშვების უმეტესობა სურამელი ებრაელების შვილიშვილები არიან. იქნებ ისე მოგვიხერხოთ, რომ ერთი დღე სურამში გავიყვანოთ, თავიანთი მშობლების და წინაპრების სახლები სურთ რომ ნახონო. გამცრა . ჩემთვის მგრძნობიარე თემას შეეხნენ. განა რა იციან ამ თითისტოლებმა მამა-პაპის ფუძის მადლი რა არის-თქო, გავიფიქრე, მაგრამ გავჩუმდი. სიმონს დავპირდი, ყველაფერს მოვაგვარებდი და ბავშვები სასტუმროში დავტოვე. ცოტა რთული იყო უკვე დაგეგმილი და ყველა ინსტანციასთან შეთანხმებული მარშრუტის შეცვლა, თან საქმე უცხოეთის მოქალაქეებს ეხებოდა.

იმავე დღეს შევხვდი დიასპორის მინისტრის პირველ მოადგილეს, ქალბატონ თამარ მახარაშვილს. ყურადღებით მომისმინა და უმალვე მიხვდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ებრაელი ბავშვების გამგზავრება სურამში. დილით ყველაფერი ადგილზე დაგხვდებათო, მითხრა გაღიმებულმა. გახარებული დავბრუნდი სახლში. წარმოვიდგინე ჩემი ბავშვების ემოციები, როცა ვეტყოდი, აბა ახლა ყველანი ავტობუსში და სურამისკენ მივდივართ-თქო.

დილას ადრიანად მივაკითხე სასტუმროში „ძველი თბილისი“. საუზმობდნენ ჩემმა სიურპრიზმა იმაზე დიდი სიხარული და ჟრიამული გამოიწვია, ვიდრე ველოდი. როგორ გულით სდომებიათ ამ პატარა ანგელოზებს წინაპრების ფუძის ნახვა.

მოკლედ, დავიძარით სურამისკენ, გზაში სიმღერა და ცეკვა-თამაში გვქონდა. სურამში ისე შევედით, არც გაგვიგია. სიმონ ჯანაშვილი თავადაც სურამელი გახლდათ და ის გვიწევდა მეგზურობას. ებრაელების უბანში მივედით. მთელი ავტობუსი გაირინდა, სიცილი და ჟრიამული უცებ სიჩუმემ შეცვალა. სიმონი ავტობუსიდან ჩავიდა და ბავშვებიც მიყვნენ. ევრითულ ენაზე რაღაცას ელაპარაკებოდა ხან ერთს, ხან მეორეს. მივხვდი, რომ სახლების მოძებნაში ეხმარებოდა. დავინახე, რომ 15 წლის შირლი გაჩერდა ჭიშკართან და ეზოს გაჰყურებდა. მივხვდი, იპოვნა პაპისეული სახლი. კარს ხელი წავკარი და კარ-მიდამოში შევედი, მასპინძელს შევეხმიანე. შუახნის ქალმა გამაგონა. ავუხსენი ვინც იყო სტუმარი და ვთხოვე, სახლში შეეპატიჟებინა. წარბიც არ შეუხრია – ჩვენ ახლაც გვახსოვს ებრაელების სიკეთეები, მაგას როგორ დაგამადლებთო. წამო ბებო, შეციებული ხარ, ბუხართან ჩაი დავლიოთ, ისეთი ნაზუქები მაქვს გამომცხვარი, თითებს მიაყოლებო – მოხვია შირლის და მის დაქალს ხელი და წაიყვანა. ბავშვები დადიოდნენ, სიმონმაც უამრავი ნაცნობი ნახა, შუა გზაზე უკვე მთელი უბანი გამოეფინა, ყველამ გაიგო ვინ სტუმრობდა იქაურობას. იყო დიდი მოკითხვა და გამოკითხვა: ვანო პაპა ცოცხალია? შენა კაცო, დათიკოს შვილიშვილი არა ხარ? ჯამლეტა რასა იქმს? მესმოდა კითხვები. სიმონიც ხან რომელ ბავშვს გამოიყვანდა წინ, ხან რომელს – ეს იმის შვილიშვილია, ეს ამისო, ამბობდა ძველი სურამელის კილოთი და ცრემლით გაბზარული ხმით. მოხუცები ბავშვებს ათვალიერებდნენ, „ვახ, როგორ ჰგავს ბაბომისსა, პაპამისივით არ უცინის სახეი? „ და ასე დაუსრულებლად ეძებდნენ პატარა ებრაელებში, სურამიდან წასულების შვილიშვილებში, თავისი მერხის ძმაკაცების, ნაცნობ–მეგობრობრების, საყვარელი მეზობლების ნაკვთებს, ღიმილს და მანერებს.

ღმერთო, იმხელა სიყვარული და მონატრება ტრიალებდა იმ წუთებში ებრაელების ყოფილ უბანში, ქვასაც კი აატირებდა.

უცებ თვალი რაღაცამ მომტაცა. მოშორებით პატარა მოშკა შევნიშნე ღობეს უცნაურად მიხუტებული. ისეთი ცელქი და ხალისიანი ბავშვი იყო, მეუცნაურა მისი ასეთი სერიოზული სახე. შუბლი ხის მესერზე ჰქონდა მიყრდნობილი და პერიოდულად ზეცას ახედავდა ხოლმე თავისი ლამაზი, ცისფერი თვალებით. ვიფიქრე, მივალ, ბავშვი მარტოა და არ შეშინდეს მეთქი, მაგრამ უცებ მივხვდი, რომ რაღაც საკრალური ხდებოდა იმ წუთას. სიმონმაც თვალი მიქნა, აცალეო. არ ვიცი, რა დააბარა პაპამისმა ამ პატარა ანგელოზს თავის ნასახლარში, რა სიყვარული გამოატანა ასეთი, მაგრამ არცერთი სიტყვა არ დაუკარგავს ბიჭს. კაკალ-კაკალ მოურბენინა წინაპრის ფუძეს. თვალს ვერ ვაშორებდი პატარა „ვაჟკაცს“. ერთი იერუსალიმში გოდების კედელთან მინახავს ასეთი მლოცველები, მოწიწებით მდგომნი და მეორე, ეს ანგელოზი ვნახე სურამის ებრაულ უბანში. ბოლოს ბავშვმა თვალი მოავლო ეზოს, ხის ღობეს აკოცა და დაშორდა.

მივხვდი, რომ ეს ის დღე იყო, რომელიც მთელი ცხოვრება გემახსოვრება ადამიანს.

ირინე ბიბილეიშვილი-იოსებაშვილი

# მონდომებისა და ენთუზიაზმის კომპენსაცია

მარიამისა და ქეთევანის მეგობრობა იმდენივე წელს ითვლის, საიდანაც მათი ცნობიერება იწყება-სკოლის მერხიდან. ახლა უკვე ჩვენი ქალაქის "ბიზნეს ლედები" არიან, და თუ ეს ჯერ მხოლოდ გადაჭარბებული ნათქვამია, ეს მათი არც თუ შორი მომავალია, რომელიც მათი მონდომებისა და ენთუზიაზმის კომპენსაცია იქნება. სტუდენტობის შემდეგ საკუთარ ქალაქში დაბრუნებულებს,არაერთი იდეა ჰქონდათ,თუ როგორ ექციათ სასიამოვნო სასარგებლოდ,რომ ეს მათთვისაც და მშობლიური ხაშურისთვისაც ერთგვარი სიახლე, სიცოცხლის ახალი ტალღა ყოფილიყო. სამი წლის წინ, ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი გახსნეს, მონდომება არ დააკლეს, საკუთარი ხელებით აკეთეს ქალის და კაცის საქმე, გაუმართლათ. დღეს უკვე სახელმწიფო პროექტის "აწარმოე საქართველოში" გამარჯვებულები არიან, რომელმაც შესაძლებლობა მისცათ ახალი სიცოცხლე მიეცათ ცენტრისთვის, გაეფართოებინათ მომსახურებაც, სერვისებიც და ვიზუალური მხარეც ყველასთვის სასიამოვნო ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი ბავშვებისა და მოზრდილებისთვისაა, ყველა ასაკის მომხმარებლი გამონახავს გასართობს, კომფორტული და გართობისთვის მორგებული გარემო, ქეთევანისა და მარიამის წარმატების ერთგვარი გარანტიაა. არადა, ისინი ჯერ მხოლოდ 25 წლისანები არიან და უკვე იძლევიან მაგალითს, თუ როგორ შეიძლება კარგი იდეის კარგად განხორციელება, შეფუთვა და რომ ამაში შენი თანამონაწილე სახელმწიფოც კი გახდეს.

**ქეთევან გელაშვილი:**

–მე და მარიამს გაგვიჩნდა იდეა, რაიმე მცირე ბიზნესი გაგვეკეთებინა, დიდხანს ვფიქრობდით ამაზე, რამდენიმე ვარიანტი განვიხილეთ, მათ შორის ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრიც იყო, რადგან ხაშურში მხოლოდ ერთი ცენტრი იყო და მოთხოვნილება კი – უფრო დიდი იყო, გადავწყვიტეთ ამ საქმისთვის მოგვეკიდა ხელი. თან ხაშურში ახალი დაბრუნებულებიც ვიყავით და პირადი სარგებლის გარდა, გვინდოდა ჩვენი ქალაქის გამოსაცოცხლებლადაც გაგვეკეთებინა რამე. შევისწავლეთ ბაზარი და რადგან ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, სურვილების შეთანხმება არ გაგვჭირვებია.

**-რატომ სადღესასწაულო ცენტრი?**

**მარიამ ბუღაძე:**

–როგორც აღვნიშნეთ, ხაშურში მანამდეც იყო ბავშვთა გასართობი ცენტრი, მაგრამ გვინდოდა, მომსახურების სერვისი შეგვეცვალა, ახალი შეგვეთავაზებინა. გადავწყვიტეთ, მრავალფეროვანი მომსახურება შეგვეთავაზებინა მომხმარებელთა იმ კატეგორიისთვის, რომელთან მუშაობა და ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა. ამით, ერთგვარად, გვინდოდა იმის კულტურა დაგვემკვიდრებინა, რომ სახლის გარდა, დაბადების დღის ცენტრშიც შეიძლება მისაღებ ფასად, ბავშვისთვის საინტერესო გარემოში გადაიხადო დაბადების დღე, ან, უბრალოდ, ზეიმი.

**-როგორ დაიწყეთ იდეის განხორციელება?**

**ქეთევან გელაშვილი:**

–თავდაპირველად ალტერნატიული ფართის მოძიება დავიწყეთ, უნდა ყოფილიყო ყველასთვის მისაღებ ადგილას, აღმოჩნდა, რომ ფართის ქირა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ვიცოდი, რომ სკოლას შეეძლო ფართის გაქირავება, მოვედით წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლაში და ვითხოვეთ დირექტორთან შეხვედრა, აღმოჩნდა, რომ ეს მეუფეს უნდა გადაწყვიტა, რომელიც მანამდე ჩემი სულიერი მოძღვარი იყო, მოეწონა იდეა, გავაკეთეთ პრეზენტაცია. რომ არა მეუფის მხარდაჭერა და თანადგომა, შეიძლება ეს მხოლოდ იდეის დონეზე დარჩენილიყო. ამის შემდეგ, დავხვეწეთ იდეა, მოვიძიეთ საჭირო თანხა, ყველა დეტალი საკუთარი ხელით გავაკეთეთ. იანვარში გაჩნდა იდეა, ივლისში თითქმის ყველაფერი ნაყიდი გვქონდა და 21 სექტემბერს უკვე გავიხსენით.

**-სერვისებზე რას იტყვით?**

**მარიამ ბუღაძე:**

–ავიყვანეთ მსახიობები ხაშურის თეატრიდან, ჩამოვწერეთ პროგრამები, რომლებიც ეტაპობრივად დაიხვეწა, შევიძინეთ ინვენტარი. რაც მთავარია, მუშაობის პროცესში, მოთხოვნებიდან გამომდინარე, იცვლებოდა და იხვეწებოდა სერვისი, რაც მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებდა. ყოველთვის

ვცდილობთ, სიახლეები შევიტანოთ. მომხმარებელი, ძირითადად, ერთი და იგივე ხალხია, მათ სიახლე უნდა შესთავაზო, რადგან მომაბეზრებელი არ იყოს. შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ იდეამ გაამართლა და სტიმული მოგვცა სამომავლო განვითარებისათვის.

**-თქვენ ასევე პროექტის "აწარჯვებული ხართ. ორი ეხებოდა იდეა?**

**მარიამ ბუღაძე:**

–როდესაც გავიგეთ ამ პროგრამის შესახებ, ცოტა ინერტული დამოკიდებულება გაგვიჩნდა, მაგრამ მაინც ვცადეთ და დავწერეთ ორი პროექტი. ერთი გასართობი ცენტრის გაფართოებას, ხოლო მეორე ჩამოსასხმელი ნაყინის აპარატს ეხებოდა. ჩვენდა გასაოცრად, ორივე პროექტი დაგვიფინანსეს. როგორც ვიცი, შიდა ქართლში სულ 38 პროექტი დააფინანსეს. მეორე ტურში 1/16 თან იყო თანაფარდობა, ძალიან გაგვიმართლა, რომ მოგვეცა შანსი, ჩვენი იდეების განსახორციელებლად. ორივე პროექტისთვის ცალ-ცალკე 5000-5000 ლარი მივიღეთ. ამ წარმატებამ სტიმული მოგვცა, სამომავლოდ ახალი ბიზნესიდეის განხორციელებაზეც ვიფიქროთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ დავინახეთ სახელმწიფოსგან თანადგომის სურვილი, მიეხმაროს მცირე ბიზნესს განვითარებაში.

**-გაფართოების შემდეგ, რა შეიცვალა, ძირითადად რა ასაკის მომხმარებლები გყავთ და რას სთავაზობთ მათ?**

**ქეთევან გელაშვილი:**

–თავდაპირველად, ყველაფერი 1 წლიდან 12 წლამდე ბავშვებზე გვქონდა გათვლილი. თავიდანვე დიდი მოთხოვნა და აქტიურობა იყო, დეკემბერში დაიწყო ზეიმები, რკინიგზის დეპარტამენტისგან დიდი შეკვეთა მივიღეთ, 1500 ბავშვს მოვემსახურეთ. ზეიმები გაგრძელდა გაზაფხულზეც, მოდიოდნენ გასართობად, დაბადების დღის დასაგეგმად. გარდა ამისა, დავამატეთ შაბათ-კვირის პროგრამა, რომელმაც, სამწუხაროდ, არ გაამართლა. "აწარმოე საქართველოში" პროექტმა მოგვცა შესაძლებლობა გაგვეფართოებინა მომხმარებელთა ასაკობრივი კატეგორია, 12-წლიდან ზემოთ ახალგაზრდებისთვის. ამ ორი წლის განმავლობაში ჩემი და ჩემი მეგობრების დაბადების დღეები დავგეგმეთ, წვეულებები, საიდანაც წამოვიდა მოთხოვნა და დღეს გვაქვს უკვე გასართობი ცენტრი დიდებისათვის, სადაც გვყავს დიჯეი, კარაოკე, გვაქვს კლუბური ეფექტები, გემრიელი მენიუ და, რაც მთავარია, ყველასთვის მისაღები ფასები. ეს ნამდვილად ინოვაციაა ჩვენი ქალაქისთვს.

**-დღეისათვის თქვენი მომსახურება როგორ გამოიყურება?**

**მარიამ ბუღაძე:**

–დაბადების დღე ერთ ბავშვზე 10 ლარიდან 16 ლარამდეა, მოზარდებისთვის 10 ლარიდან 20 ლარამდე. გარდა ამისა, არის დამატებითი სერვისი, მსახიობები, გმირები, შესაბამისი პროგრამა. ერთი გმირის ფასი 30 ლარი, გვაქვს შეღავათებიც, მაგალითად, ორი გმირი უკვე 50 ლარი. შედის კარაოკე სიმღერები, ცეკვები, სახის მოხატვა უფასოდ, ვარსკვლავის გახსნა, თამაშები, მენიუ. პროგრამა იმდენადაა დატვირთული, ჩართული არიან ბავშვებიც და მშობლებიც, მოდუნების და მოწყენის საშუალება თითქმის არაა. გვაქვს ატრაქციონები, ფერადი ბურთები, სათამაშოები. დავამატეთ ახალი სერვისი, გმირები გამოძახებით, ამჟამად 10 გმირი გვყავს, მათი გამოძახების ღირებულება 30 ლარია. ამ ყველაფრის უზრუნველყოფა, "აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ. კარგ იდეას დამატებული ხელშეწყობა, უკვე საქმის ნახევარია. მიხარია, რომ ჩვენ ეს შევძელით!

თ. ჯავახიშვილი

# ორი ხელნაწერის ისტორია

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ხაშურის მოამბე“, №40)

XVIII-ის 10-იან წლებიდან მოყოლებული, ვიდრე რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა, აბაშიძეები ჯერ ქართლის, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მიღებული და დაწინაურებული გვარია. უკავიათ სხვადასხვა სახელოები და სამეფო ხელისუფლებაც ყოველთვის სათანადო ყურადღებას იჩენს მათი „დეიდაშვილების“ მიმართ.

ვახუშტისა და ანუკას უფროსი შვილია პაატა, მას ჰყავს სამი ვაჟი -ქაიხოსრო, ევგენი და დავითი.

1778 წლის ახლო ხანებში, იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა, თავისი ქალიშვილი – დარეჯანი მიათხოვა ქაიხოსრო აბაშიძეს. გიულდენშტედტის ცნობით, 1778 წელს დარეჯანი ქაიხოსრო პაატას ძის დანიშნული იყო. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული, რომ დარეჯან ბატონიშვილი არის ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლე, მაგრამ არასწორად არის გაგებული ამ უკანასკნელის ვინაობა. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ქაიხოსრო აბაშიძის მოღვაწეობის დროს, XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე გვხვდება სხვა ქაიხოსრო აბაშიძეებიც, რაც გარკვეულ სირთულეს ქმნის და რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ამ „სხვა ქაიხოსრო აბაშიძეებში“ ეძებს სწორედ დარეჯან ბატონიშვილის მეუღლეს.
როდესაც სარგის კაკაბაძე საუბრობს სოლომონ I –ის გარდაცვალებაზე, მიუთითებს, რომ მას „დარჩა ასული დარეჯანი, რომელიც გათხოვილი იყო თავად ქაიხოსრო ზურაბის ძე აბაშიძეზე. მაქსიმე ბერძნიშვილი აღნიშნავს, რომ სოლომონ I-ის ასულის დარეჯანის მეუღლეა ქაიხოსრო აბაშიძე. მკვლევარი, მის გარდაცვალების თარიღად ასახელებს 1810 წელს.

ქაიხოსრო აბაშიძის გარდაცვალების თარიღად 1810 წელს მიიჩნევს სარგის კაკაბაძეც. იგი აღნიშნავს, რომ რუსებმა „...დაამარცხა იმერლების ჯარი აბაშიძეების მეთაურობით... თვით ჯარის წინამძღოლი ქაიხოსრო აბაშიძე და მისი სამი შვილი როსტომ, გიორგი და სიმონ ამ ბრძოლაში დაიღუპნენ“. ცნობილი მკვლევარი, ლევან ასათიანი წიგნში, - „ცხოვრება აკაკი წერეთლისა,“ - იგივეს იმეორებს, რასაც ვხვდებით ს. კაკაბაძესთან, მ. ბერძენიშვილთან. წიგნზე დართულ აკაკის გენეალოგიაში მითითებულია, რომ დარეჯან ბატონიშვილი არის ცოლი ქაიხოსრო აბაშიძისა, რომელიც მოკლეს 1810 წელს.

უფრო შორს მიდის თამარ პაპავა. ადვილად მიხვდებით, რომ მისი ვრცელი წერილის, - „ბატონიშვილი დარეჯანის“, ქაიხოსრო აბაშიძე თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებით სოლომონ I-ის ბიძაა - ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე, ე.ი. დარეჯან ბატონიშვილისთვის გამოდის მამის ბიძა.

უნდა შევნიშნოთ, რომ თამარ პაპავასთან ქაიხოსრო აბაშიძეს მიკუთვნებული აქვს არა მარტო სოლომონის ბიძის, არამედ იმ ქაიხოსრო აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებიც, რომელიც თავის შვილებთან ერთად დაიღუპა რუსებთან ბრძოლაში 1810 წელს.

დასანანია, რომ უზუსტობამ თავი იჩინა გურამ შარაძის ფუნდამენტური ნაშრომის პირველ წიგნში „აკაკი წერეთელი (1940- 1915), ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება“ (თბ.2010)

როგორც წიგნის შესაბამისი თავიდან ჩანს, მკვლევარი თავიდან ბოლომდე იმეორებს თ. პაპავას ნარკვევებში ქაიხოსრო აბაშიძის შესახებ ავტორისეულ ინფორმაციას და წერს: „დარეჯან ბატონიშვილი ცოლად გაჰყვა ქაიხოსრო აბაშიძეს და ოთხი ვაჟი ჰყავდა: როსტომი, გიორგი, სვიმონი და ივანე. 1810 წელს, როდესაც ოსმალეთს გაქცეული სოლომონ II ისევ დაბრუნდა იმერეთში და შეხვდა გენერალ სიმოვიჩის წინამძღოლობით მოქმედ რუსის ჯარს, ამ დროს, ქაიხოსრო აბაშიძე მეთაურობდა იმერთა ლაშქრის ნაწილს და ერთ-ერთ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა თავის სამ უფროს ვაჟთან როსტომთან, გიორგისთან და სვიმონთან ერთად. დაქვრივებულ დარეჯან ბატონიშვილს ერთად-ერთ იმედად უმცროსი ვაჟი - ივანე აბაშიძე დარჩა“.

გ. შარაძე ეხება აბაშიძეთა გვარის გამოჩენას, მიუთითებს, რომ „იმერეთის გარდა, აბაშიძები სახლობდნენ ქართლში, კახეთში, აჭარაში“ (იქვე). მოკლედ მიმოიხილავს აბაშიძეთა მდგომარეობას იმერეთში.

მკვლევარი მიუთითებს, რომ „აკაკის დედის-ეკატერინე აბაშიძის პირდაპირი წინაპრების შესახებ ო. სოსელიასთან ვპოულობთ თ. პაპავასაგან განსხვავებულ... ცნობებს“... ავტორი ო. სოსელიაზე დაყრდნობით გადმოგვცემს ქართლში დამკვიდრებულ აბაშიძეთა შესახებ ინფორმაციას. მიუთითებს, რომ ქაიხოსრო პაატას ძე აბაშიძეზე იყო გათხოვილი იმერთა მეფის სოლომონ I ასული დარეჯანი.

მკვლევარ ო. სოსელიას ინფორმაცია სწორია, მხოლოდ ერთი შენიშვნა გვაქვს. ქაიხოსრო აბაშიძესა და დარეჯან ბატონიშვილს მარტო ორი ვაჟი –სვიმონი და იოანე არ ჰყავდათ. მათ ჰყავთ კიდევ ერთი ვაჟი დავითი.

1803 წლის 27 იანვარს მზითვის წიგნში, რომელსაც სოლომონ II და დედოფალთ-დედოფალი მარიამი აძლევენ დარეჯან ბატონიშვილს, ნათქვამია: „...ვინებეთ მორომეკვად მტკიცე ესე და შეუცვლელი სიგელი... თქვენ, უგანათლებულესსა და სასურველსა დასა ჩვენსა ბატონიშვილს დარეჯანს და, ძეთა თქვენთა დავითს და იოანეს“.

ამავე ფაქტს გვიდასტურებს ხაშურის მუზეუმში დაცული ხელნაწერიც.

რაც შეეხება გ. შარაძეს, იგი მთლიანად იზიარებს თ. პაპავასთან დაფიქსირებულ ინფორმაციას, ხოლო ო. სოსელიას ინფორმაციაზე მიუთითებს, რომ საკითხზე არსებობს მეორე განსხვავებული ცნობა. ეს კარგად ჩანს წიგნზე დართული გენეალოგიიდანაც. როცა ქაიხოსროსა და დარეჯანის შვილებად აცხადებს როსტომს, გიორგის, სვიმონს და ივანეს და იქვე მიუთითებს ქაიხოსროს, როსტომის, გიორგის და სვიმონის გარდაცვალების თარიღად 1810 წელს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი უზუსტობების დაშვება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამოწვეულია იმით, რომ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აბაშიძეთა გვარში რამდენიმე ქაიხოსრო აბაშიძეა ცნობილი.

ქაიხოსრო ზურაბის ძე აბაშიძე,ს რომელზეც სარგის კაკაბაძე საუბრობს, XVIII ს-ის I ნახევარში ვხვდებით და ამიტომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვაში მასზე ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქაიხოსრო აბაშიძეებს: ამავე პერიოდში გვხვდება სვირის მოურავი ქაიხოსრო.

კიდევ ერთი ქაიხოსრო აბაიაძე, რომელიც გაიგივებულია ქართლელ ქაიხოსრო აბაშიძესთან, თავის შვილებით 1810 წელს დაიღუპა სოფ. ცხრაწყაროსთან.

ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე-სოლომონ I დედის ძმაა, დაპირისპირებულია დისშვილთან.

ქაიხოსრო პაატას ძე აბაშიძე, ქართლის აბაშიძეთა ოჯახის წარმომადგენელი, რომელიც XVIII ს-ის 90-იან წლებშია გარდაცვლილი, სწორედ ის ქაიხოსრო აბაშიძეა, რომელსაც სოლომონმა მიათხოვა თავისი ასული და რომ იგი არ იქნებოდა 1810 წლის მოვლენების ეპიცენტრში, ამას მისივე შედგენილი ანდერძები მეტყველებენ. ქაიხოსრო აბაშიძის ორი ანდერძია ცნობილი. ერთი შედგენილია 1792 წლის 30 ოქტომბერს, მეორე კი 1794 წლის 15 ნოემბერს.

1792 წლის ანდერძში თავის ძმებისადმი ქაიხოსრო აბაშიძე აღნიშნავს:

„ყოველთა მოკვდავთა კაცთა შემდგომად ცოომისა საჭირო ექნა წერილი მით, რამეთუ წერილი შემდგომად მრავალთა საუკუნეთა ცხოვლად წარმოადგენს პირსა მას. რომლისა არს წერილი იგი და აუწყებს ყოველსა მნებელობასა მწერლისასა და სრულსა ჯარჩინებასა.

და აწ შედგომილი სჯულისა ამის ჰსწერ ჰაზრსა ჩემსა ყოვლით ნებითა და ჯერჩინებითა ჩემითა მე, აბაშიძე ქაიხოსრო ხელითა მოძღვრისა ჩემისათა, რომელსაც, უწოდებ მე ანდერძად ჩემდა.

მე სახლისა ჩემისა და ოჯახისა, ვიტყვი მინდობითა ღვთისათა. არა ვარ უმსახურო, და რაც მამული, ან ყმა თვით ხელით ჩემით ან მიშოვნიან, ან მიყიდიან, როგორც ჩემია, ეგრეთვე საყვარელთა ძმათა ჩემთა ევგენისა და დავითისა. და როგორც შვილთა ჩემთათვის მინდან, ეგრეეე შვილთა მათთათვის“.

იქვე „ჩვენ ასეთი ძმობა და ერთობა გვქონია, რომ თუ არ საერთო, სათავისთაო არ გვნდომებია რა. თუ ღმერთმან მაცადა მე სიცოცხლე, ამას იქითაც ამისთანა ძმობა და ერთობა მინდა.

და თუ ღმერთმან აღარ მაცადოს, თქვენ იცით და ღმერთმან ჩემო საყვარელო ძმაო ევგენ და დავით, როგორც ამ ჩემს სიტყვას აღასრულებთ. ჩემი შვილებისა და თქვენთვის ერთად მნდომებია და მინდა, და თქვენც ასე გინდესთ ყოველი თქვენი საქმე, თუ ღმერთმან მოგცესთ რამე, თქვენც ასე უნდა ჰქნათ.

თუ ღმერთმან მაცადა, თუ თქვენს ცოლსა და შვილზედ გიმტყუვნო, ღმერთმან გამიკითხოს, და თუ თქვენ იმტყუვნოთ თქვენც ასევე.

მე, აბაშიძე ქაიხოსრომ ეს ანდერძის წიგნი ჩემის ნებით და სიყვარულით, სიკვდილს შინა მყოფმა, ჩემს მოძღვარს დავაწერინე, ყაბულიც მაქვს და მოწამეც არის“.

ანდერძში რამდენჯერმე მოიხსენიება ბატონიშვილი დარეჯანიც. კერძოდ, როცა ანდერძში საუბარია ტაშისკარში მეფე ერეკლეს მიერ სამი საკომლოს წყალობაზე, აღნიშნულია, რომ წიგნები შედგენილია „ბატონიშვილი დარეჯანის სახელზედ“.

აგრეთვე, დარეჯან ბატონიშვილის სახელზეა შედგენილი ალმასხან ბატონიშვილის მიერ ნაწყალობები მამულები (იქვე). ჩხეიძისაგან ნასყიდ წვერიანაშვილის მამულში ქაიხოსრომ „ცამეტი თუმანი ბატონიშვილის დარეჯანის მზითვის თეორი“ მისცა (იქვე). ქაიხოსრო ყველაფერს, რაც „უშოვნია“ ან „შეუძენია,“ საძმოდ დებს, „ბატონიშვილის დარეჯანის მზითვის გარდა“(იქვე).

იმავე წელს 19 დეკემბერს, ბიძა –ძმისშვილი ქაიხოსრო აბაშიძე და ნიკოლოზ აბაშიძე ერეკლე II-ის წერს არზას, რომლითაც დასტურდება, რომ ქაიხოსრო სერიოზულად არის ავად, მოხუცებულია მისი ბიძა, ამიტომ ისინი ითხოვენ, რომ ქაიხოსროს სიცოცხლეში მოხდეს ზოგიერთი საკითხისა თუ პრობლემის გადაჭრა.

„ახლა თუ ვინმე თქვენს საბძანებელში და სახელმწიფოში ჩვენი მოდავე ვინმე გახლდეს და იყოს –ან დიდებული თავადი და ან საბატიო კაცის შვილი, ან აზნაურშვილი ან გლეხი, ან სამღვდელო და ან საერო ჩვენი მოდავე იყოს ვინმე, ან სისხლზე ან ვალზე, ან მამულსა და ადგილსა და ყმაზე, ან მიწასა და წყალზე, ან მთასა და ბარზე, ან გვემართოს ვისიმე, ან უსამართლოთ გვეჭიროს ვისიმე, თქვენს უმაღლესობას მოხსენდეს და გველაპარაკოს სამართალში, რომ ჩვენს სიცოცხლეში ჩვენი საქმე ჩვენვე გავწმინდოთ, რომ ჩვენმა ძმამ და შვილმა და შვილისშვილმა ჩვენს სიკვდილს უკან ჩვენ გინება აღარ დაგვიწყონ და ავათ ხსენება“.

რაც შეხება ქაიხოსროს ავადყოფობას, არზაში აღნიშნულია: „ ...მე მდივანბეგი ნიკოლაოს ამას მოვახსენებ: მოგეხსენებათ, მოხუცებულობის ჟამში მიწევნილი გახლავარ და ჩემზე სიკუდილი მსწრაფლია ჩემი ძმისწული ქაიხოსრო გახლავს და მუდამ სნეულობს“. 1793 წლის 3 ნოემბერს ქაიხოსრო და ევგენი აბაშიძეების არზაში ერეკლე მეორესადმი ვალის თაობაზე, ქაიხოსრო აღნიშნავს: „ახლა მე ავანტყოფი გახლავარ და მეჭირება“. ქაიხოსრო აბაშიძე ანდერძში მეორედ წერს 1794 წელს 15 ნოემბერს. ანდერძში, რომელიც შედგენილია ერეკლე მეორესადმი, კარგად ჩანს, რომ ამ დროს ქაიხოსრო მძიმედ არის ავად. იმდენად მძიმედ, რომ მის სანახავად „სნეულების ნუგეშინის საცემლად“ თვით მეფე მისულა მასთან და თავისი ანდერძი პირადად მოუხსენიებია მისთვის. ანდერძში აღნიშნულია:

„უბრძანებს ღმერთი ეზეკიას პირითა ესაია წინასწარმეტყველისათა, ოდეს იგი დასნეულდა - ეზეკია მეფე: „ბრძანე სახლისა შენისათვის და განაწესე, რამეთუ მოჰკვდები და არა ჰსცხოვნდე“ და ესრეთ სჯულ უდვა ჟამსა სიკვდილისასა დაწერა ანდერძისა. მე, ქაიხოსრო, ყოვლად უბადრუკი კაცი და უფროს ეზეკიასასა შეცოდებული, რადგან მართლმსაჯულმან ღმერთმან სამართლად საქმეთა ჩემთათვის მიმცა მძიმესა ამას და გრძელსა სნეულებასა და ვხედავ, რომ ვკვდები, ამისთვის ვწერ სახლისა ჩემისათვის ანდერძსა ამას“.

თითქოს ქაიხოსრო გრძნობს სიკვდილის მოახლოებას. სხვას რას უნდა ნიშნავდეს მისი ეს სიტყვები თუ არა ამას:

„მე ეს არის მივალ დიდს მოსამართლესთან, რომ იქ ვერც ძმა, ვერც ცოლი და შვილნი, ვერცადა მამული და ყმა ვედარას გამომადგებიან. მე, რომ ჩემს ქრისტესთან ჩემი ურიცხვი და მძიმე ცოდვები მიმდევს, ამათის პასუხისა და ანგარიშის მიცემა ნეტავი შევიძლო და საკმაოც არის, თორემ მე სხვა უსამართლობა და ნატაცები გავიტანო რამე რაში მიჯობს“.

ან კიდევ: „ვფიცავ ჩემს სასოებას ღმთისმშობელსა და ჩემი სულისა და ხორცის გაყრის დღესა“.

სხვაგან წერს: „მოწყალეო ხელმწიფე, ქართლისა და კახეთისა მემკვიდრეო, მეფეო კეთილმსახურო. ხელმწიფევ და მეფობას გარდა, ჩემო მამავ და ორისავ სოფელში მხსნელო. ჩემის პირითაც მომიხსენებია ჩემი ანდერძი და ამ წერილითაც ამას მოგახსენებ. ჩემმა საშინელმა ცოდვებმა არც ღმრთის სამსახური დამაცალა და არც თქვენი, რადგანაც ღმრთის ნება ასე იყო. ჩემსა ძმებსა და შვილებს ქრისტეს წინაშე თქვენ გაბარებ“.

უფრო მეტიც, ქაიხოსრო აღნიშნავს, რომ მან ზიარება მიიღო და ამის შემდეგ წერს ანდერძს: „მე დღეს ჩემის მოძღვრის ხელით წმიდის ზიარების საიდუმლო მივიღე და იმის მიღებას უკან ჩემი ანდერძი დავაწერინე“.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქაიხოსრო აბაშიძე,- დარეჯან ბატონიშვილის მეუღლე, - XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მძიმედ ავადმყოფობდა და შუა წლებში უნდა გარდაცვლილიყო, ყოველ შემთხვევაში 1794 წლის შემდეგ იგი საბუთებში აღარ გვხვდება.

1795 წლის 21 აპრილს პირობის წიგნში იოანე ორჯონიკიძე აღნიშნავს: „ახალციხეს კურთხეულ ბატონს ჩემს ვახლდი ქაიხოსრო აბაშიძეს“.

ამრიგად, როცა იოანე ორჯონიკიძეს პირობის წიგნი იწერება, ქაიხოსრო აბაშიძე უკვე გარდაცვლილია. იოანე ორჯონიკიძე მას მოიხსენიებს, როგორც „კურთხეულ ბატონს“.

აქედან გამომდინარე, დარეჯან ბატონიშვილის მეუღლე ვერ იქნებოდა 1810 წელს მომხდარი მოვლენების მონაწილე იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი ამ დროს თითქმის 15 წლის გარდაცვლილი იყო.

აქ მოტანილი საბუთებიდან კარგად ჩანს, რომელი ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლეა სოლომონ I-ის - ასული დარეჯან ბატონიშვილი. ერთი საყურადღებო დეტალიც. 1911 წლის 11 იანვრის წერილიდან, რომელიც ტორმასოვს სიმონოვიჩისათვის მიუწერია, ნათქვამია, რომ „... დარეჯანი მოხუცებულობის გამო დავტოვე ტფილისშიო, იგი დაჟინებით ითხოვს: დავაბრუნო უკან იმერეთს, თავის მამულში, ანდა იმერეთის საზღვრებთან, მის ნათესავ აბაშიძეებთან (სოფ. ბეკანაში) მივცე ცხოვრების ნება“.

ტორმასოვისეული ბეკანა ბეკამია, სადაც ცხოვრობს დარეჯანის მაზლი, ქაიხოსროს ძმა ევგენი და მისი შვილები.

ეს კიდევ ერთი უტყუარი დადასტურებაა ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საკითხისა.*

აღნიშნული სამძიმრის წერილი ყოველთვის იქცევდა ყურადღებას ხაშურის მუზეუმის თანამშრომლების მხრიდან. მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცულია ია ჩადუნელის მიერ 2003 წელს შესრულებული ნარკვევი სახელწოდებით „ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ერთი სამძიმრის წერილის ირგვლივ (აბაშიძეთა საგვარეულოს ისტორიის დეტალები)“.

მკვლევარი ემყარება თ. პაპავას ვრცელ ნარკვევს „ბატონიშვილი დარეჯან“ და იმეორებს იმ შედეგებს, რასაც ავტორი ავითარებს ქაიხოსრო აბაშიძის შესახებ.

**თ. ლაცაბიძე**

# „ცოდნის კარიბჭე" - პირველკლასელები თავის თავს გვაცნობენ

უამრავი მიზეზი არსებობს სიხარულისთვის... სწორედ,რომ სიხარული მოგვანიჭეს ხაშურის საჯარო სკოლების პირველკლასელებმა. კულტურის ცენტრების გაერთიანებამ სურამის კულტურის ცენტრში ჩაატარა შემეცნებით-გასართობი ღონისძიება „ცოდნის კარიბჭესთან". პატარებმა წარადგინეს თავიანთი თავი, დამსწრე საზოგადოებას გამოუტყდნენ თავიანთ მომავალ პროფესიებზე, ბოლო წვეთამდე დაცალეს პაწაწინა გულები, ცამდე სიხარულით, სიყვარულით ავსილი. პატარებს გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. საღამო მიჰყავდა მომღერალ ნინი მალხაზიშვილს.

დიდი მადლობა პატარების თვალების გაბრწყინებისთვის, შესანიშნავი ღონისძიებისთვის კ/ც გაერთიანების პედაგოგებს: ხათუნა გელაშვილს, ლალი კახეთელიძეს და მაკა ცხადიაშვილს, რომელთაც არ დაზოგეს ენერგია და ამ მცირე ხანში, ზღაპრული ზეიმის მომსწრენი გავხდით. ასევე, მადლობას იმსახურებენ ბავშვები: მარიამ კურტანიძე, გიგა მეტრეველი, თაზო ციყელაშვილი, ნინო ქიტიაშვილი, ნუცა მურჯიკნელი, ნინო ტყემალაძე, გიორგი მაღრაძე, ელენე ლომიძე, რეზი ლომიძე, ნიკოლოზ ჩადუნელი, თეკლა კოსტავა, ელენე ლურსმანაშვილი, საბა შუბითიძე, ელენე ხუციშვილი, მარიამ ლაბაძე, ზურა მულაძე, მარიამ მიქელაშვილი, მედეა შუბითიძე, თინათინ ლომიძე, გიორგი ნოზაძე, გიგა კულიხიძე, ბარბარე ლომსაძე, მარიანა გელაშვილი, ნიკა მეყანწიშვილი, გიორგი კვინიკაძე, სოსო გოგნიაშვილი, გიგა ულუხიძე, გიორგი ხარაული, რომლებიც სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. მათი მშობლების და პედაგოგების მადლობა კ/ც გაერთიანების დირექტორს გიორგი ბოლოკაძეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურს და ხაშურის რესურსცენტრს. ჩვენო ცეროდენა პირველკლასელებო, თქვენთვის აინთო ცოდნის ლამპარი, ყოველი დღე ყოფილიყოს თქვენთვის სიხარულის, წარმატების და ბედნიერების მომნიჭებელი.

## ოქროც, ვერცხლიც, ბრინჯაოც...

ამ დღეებში, ქარელში, ჩატრადა მსოფლიო ჩემპიონის მალხაზ ბერუაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2001-2002 წლებში დაბადებულთა შორის.

შეჯიბრებისათვის ჩვენი სასპორტო სკოლის გუნდი საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ბუხუტი ბუხრიკიძემ მოამზადა. ჩვენმა სპორტსმენებმა კი კარგი ჭიდაობით დაამახსოვრეს გულშემატკივრებს თავი. მათგან გიორგი ნასყიდაშვილმა (60კგ.) პირველი, ნოდარ ბუხრიკიძემ (60კგ.) – მეორე, ხოლო ზაურ დვალიშვილმა (73კგ.) მესამე ადგილები დაიკავეს.

თ. მაღალდაძე,
სასპორტო სკოლის ჭიდაობის კოორდინატორი

- სკოლა -

# ქველმოქმედებად ქცეული ზეიმი

კიდევ ერთ შემოდგომას შეხვდნენ და გააცილეს ქალაქის №3 საჯარო სკოლაში. შემოდგომა მთელი თავისი მახასიათებლით, პირველი კლასის ერთ საკლასო

ოთახში იდგა. ფოთოლმცვივანი ხეები-ათასფერადი, მსხმოიარე ვენახი, ძაფზე გაბმული ნიგვზის ლებნები, ცეცხლზე შემომდგარი თათარის მომლოდინე, ბადაგმდინარე საწნახელი, ურმის თვალი, ხილი, კოპწია კაბებში გამოწყობილი თმაჩაწნული გოგონები, წინდაში შარვალჩატანებული გლეხის ბიჭები-საიმიტაციო შემოდგომა აფერადდა, აუღერდა და მოედო სკოლას, ქალაქს. კლასის ხელმძღვანელმა, ხათუნა ნოზაძემ, ერთი ჩვეულებრივი შემოდგომის დღე, ბავშვებისთვის დღესასწაულად აქცია. თითქოს არაფერია უჩველო, რომ არა ერთი ფაქტი: ბავშვებმა, კლასის ხელმძღვანელთან ერთად, საქველმოქმედო მსვლელობა მოაწყეს, საშემოდგომო ნობათით დატვირთულები, შემწეობას ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის აგროვებდნენ, რათა მათაც ჰქონდეთ ფერადი შემოდგომა. ამწვანებული გაზაფხული. დღის ბოლოს, შემოწირული თანხა, საქველმოქმედო ყუთში მოათავსეს. ერთი წლით ყუთში მოათავსეს შემოდგომაც, თავისი სურვილებით და ოცნებებით.

# გახდი მოხალისე ბიბლიოთეკარი!

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა იწყებს პროექტს „მოხალისე ბიბლიოთეკარი", რომლის მიზანია მოსწავლეების ჩართულობა საბიბლიოთეკო საქმიანობაში:

- ბიბლიოთეკის განყოფილებებისა და რესურსების გაცნობა;
- მკითხველთა მომსახურება, მკითხველების ინფორმირება;
- საკლუბო ღონისძიებებში ჩართვა, დებატები, პრეზენტაციები, საბიბლიოთეკო სივრცის მომზადება;
- „წიგნების" კატალოგის შექმნა, ელექტრონულ კატალოგზე მუშაობა;

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ მოსწავლეს. პროექტი დაიწყება 1 ნოემბრიდან,

D

## ლომიძეების განვითარების ფონდის განცხადება

მაგთის, ჯეოსელის და ბილაინის აბონენტბმა შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე 0901 901 988 და შეავსოთ ლომიძეების განვითარების ფონდი. თითო ზარის ღირებულება – 1 ლარი.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.